## სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

# ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა / Georgian language preparation education program |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი** | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** | პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.<br><br>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 1 წელს ანუ 2 სემესტრს შეადგენს. |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ასმათ შონია (ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში) |

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზნები | **ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:**<br><br>• კომუნიკაცია ქართულ ენაზე სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისთვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც კითხვითი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება), არჩეულ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, წარმატებული სოციალური და პერსონალური ურთიერთობების დამყარება.<br>• ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოქალაქეების უნივერსიტეტის სასწავლო გარემოსთან ინტეგრაციას, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართვას, მათ უწყვეტ განათლებას, კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და მათ შემდგომ დასაქმებას.<br>• გააცნოს სტუდენტს ქართული ენობრივ–კულტურული ღირებულებები, რათა ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების, როგორც სრულფასოვანი მოქალაქეების აღზრდას, მათ სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას. |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | • ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე) ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.<br>• შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (პრეტესტის) ჩაბარება ქართულ ენაში კომპეტენციის დადგენის მიზნით. (წერითი და კითხვის უნარები - წერილობითი პრეტესტის, ხოლო მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციები განისაზღვრება აუდიოტექსტის და ზეპირი ინტერვიუს ჩატარების საფუძველზე). |
| სწავლის შედეგები<br><br>(ქართულ ენაში მომზადების საგანმაანთლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს) | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>**კომპეტენციის სფერო - სამეტყველო უნარები (კითხვა, წერა, მოსმენა, ლაპარაკი):**<br>1. გარდაქმნის ლექსიკურ მარაგს სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით გააზრებულ გამოთქმებად და აგებს ქართული ენის ნორმების შესატყვის კონსტრუქციებს.<br>2. განსაზღვრავს/ამოიცნობს ენობრივ ფორმებს, არჩევს კონტექსტის შესაბამისად.<br>3. ერკვევა ზეპირი და წერილობითი ტექსტის სტრუქტურაში , იაზრებს მის ნაწილებს შორის კავშირს. იგებს სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტების თავისებურებებს, ინტერპრეტირებს, არჩევს მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს ერთმანეთისაგან; ითვისებს ქართული ენის საბაზისო ლექსიკურ მარაგს;<br>4. ორიენტირებს მოცემულ გარემოში თავისუფლად: გამოთქვამს აზრს, ფლობს კამათის, დისკუსიისა და პრეზენტაციის სტრატეგიებს, არჩევს საკომუნიკაციო სიტუაციიდან გამომდინარე სათანადო ინტონაციას, განმარტავს სპეციალობის ძირითად ტერმინებს. |

უნარი

1. *მოსმენა/გაგება*

იგებს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის/ სემინარის შინაარსსა და ძირითად არგუმენტებს; ასევე, გამოაქვს შინაარსსი ტელე-/რადიოგადაცემებიდან, რომლებიც ეხება აქტუალურ მოვლენებს, თემატურად შეესაბამება მის მომავალ პროფესიას, ინტერესების სფეროს.

2. *კითხვა/ გაგება*

იგებს მთავარ ინფორმაციას და ძირითად საკითხებს თანამედროვე პრობლემებზე დაწერილი სტატიებიდან და მოხსენებებიდან; იგებს ასევე, ყოველდღიური სალაპარაკო ან პროფესიული ენით დაწერილ ტექსტებს, მოიძიებს ინტერნეტში მისთვის საჭირო ინფორმაციას და იყენებს ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს.

3. *ლაპარაკი*

მონაწილეობს წინასწარ მომზადების გარეშე საუბრებში მისთვის ნაცნობ თემებზე; გამოხატავს/წარმოადგენს საკუთარ შეხედულებას გარკვეულ საკითხზე და იდენტიფიცირებს მის დადებით და უარყოფით მხარეებს; საუბრობს მარტივი, გამართული და აზრობრივად ჩამოყალიბებული წინადადებებით საკუთარ გამოცდილებაზე, მიზნებსა და გეგმებზე; გადმოსცემს თავის აზრებს მოკლედ და ასაბუთებს, გადმოსცემს წიგნის, სტატიის ან ფილმის შინაარსს და აფასებს მას, აკეთებს დარგობრივ თემაზე პრეზენტაციას.

4. *წერა*

წერს მისთვის ნაცნობ მარტივ თემებზე აზრობრივად გამართულ ტექსტს, გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებას, მოყავს საკუთარი მოსაზრების დასაცავად არგუმენტები და კონტრაარგუმენტები, ასრულებს ტესტურ დავალებას დარგობრივ თემაზე. წერს წერილებს, რომლებშიც გარკვეულად აღწერს მოვლენებისადმი პირად მოსაზრებას და დამოკიდებულებებს.

5. *გრამატიკა*

*აგებს* სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით ქართული ენის ნორმების შესატყვისად კონსტრუქციებს. არჩევს და იყენებს მათ ენობრივი ფორმების სიტუაციის (კონტექსტის) შესაბამისად.

მოიძიებს, ამუშავებს და აანალიზებს სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციას;

ახორციელებს/ამყარებს ეფექტურ ზეპირ და წერით კომუნიკაციას ქართულ ენაზე თანაკურსელებთან, ლექტორებთან, მოქალაქეებთან, სხვადასხვა ორგანიზაციასთან. გადმოსცემს სათქმელს (მარტივი ფრაზებით) ლოგიკურად გამართულად, აყალიბებს და გადმოსცემს მისაღები ფორმულირებით.

იყენებს სხვადასხვა (ვერბალურ, არავერბალურ) საკომუნიკაციო საშუალებებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

1. კურსდამთავრებული გეგმავს და მართავს საკუთარ სასწავლო პროცესს, ასრულებს მარტივ დავალებებს.აქვს დავალების თითოეული ეტაპის განხორციელებისთვის საჭირო სტრატეგიული უნარების ცოდნა

| | |
|---|---|
| | (დამოუკიდებლად განსაზღვრავს/არჩევს სტრატეგიებს დავალების შესასრულებლად). იყენებს სხვადასხვა რესურსს (სტრუქტურულ ნიმუშებს, გრამატიკულ ცნობარს, ილუსტრაციებს, ლექსიკონებს და სხვა). სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გამოკვეთს დავალების განხორციელების ეტაპებს; განსაზღვრავს თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს ახალი დავალიანების განსახორციელებლად;<br>2. აფასებს განსხვავებულ ენობრივ-კულტურულ თვითმყოფადობასა და ღირებულებებს: აქვს განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება; იცის მრავალფეროვან საზოგადოებაში ქცევის წესები; შემწყნარებელია ზოგადად, განსხვავებული აზრის მიმართ და პატივს სცემს მას, საკუთარ მოსაზრებას აყალიბებს ეთიკის ნორმების დაცვით, დადებითად აღიქვამს კულტურულ განსხვავებულობას; პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს. |
| სწავლება-სწავლის მეთოდები | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.). |
| სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.<br><br>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.<br><br>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, |

წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის

| | |
|---|---|
| | სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. |
| დასაქმების სფეროები | |
| სწავლის გაგრძელების საშუალება | სტუდენტს შეუძლია ქართულ ენაზე სწავლა გააგრძელოს ნებისმიერ საბაკალავრო პროგრამაზე. |
| პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:<br>• სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი;<br>• კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;<br>• კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;<br>• სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.<br>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. |
| პროგრამის ადამიანური რესურსი | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. (სრული ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში) |

პროგრამის სტრუქტურა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა მოიცავს:
ორ მოდულსა და 6 სასწავლო კურსს (პირველ სემესტრში გასავლელი სასწავლო კურსების რაოდენობა შეადგენს 1 მოდულს (**„ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები“** 1(წერა, კითხვა, მოსმენა. ლაპარაკი) და 2 სასწავლო კურსს(**„ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები“ 1; ქართული ენის ორთოეპია და მეტყველების კულტურის საკითხები“)** , რომლებიც წარმოდგენილია ორ A და B ბლოკად (ენის ფლობის დონის შესაბამისად). A ბლოკი გულისხმობს პირველ სემესტრში სასწავლო კურსების ინტენსიურ გავლას, რომლებიც წარმოდგენილია მეტი საკონტაქტო საათებით), აღნიშნული პირებისთვის დახმარების გაწევის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში ასევე გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები (სპეციალური აკადემიური დახმარების ცენტრი)

| | |
|---|---|
| პროგრამაში ჩართული თითოეული მასწავლებლის მონაწილეობით. A ბლოკი ითვალისწინებს მეორე სემესტრისთვის ამ ჯგუფის სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას B ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან.<br>B-არჩევითი ბლოკი, შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებისთვისაა გათვლილი. | |
| **მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1** | მოდული „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1“ მოიცავს 20 კრედიტს და შედგება ოთხი 5 კრედიტიანი კურსისაგან (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) |
| **მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 2** | მოდული „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 2“ მოიცავს 15 კრედიტს და შედგება სამი 5 კრედიტიანი კურსისაგან: (ფუნქციური წერის ელემენტები, ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები, ზეპირმეტყველების სტრატეგიები) |

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

| № | სასწავლო კურსის დასახელება | კოდი | კურსის ტიპი | ECTS კრედიტი | სულ საათების რაოდენობა | | | | სემესტრი | | საშემოდგომო სემესტრი | საგაზაფხულო სემესტრი | ლექტორი / ლექტორები | დაშვების წინაპირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ლექცია/სამუშაო ჯგუფი / ... | შუალედური / დასკვნითი | დამოუკიდებელი მუშაობა | I სემესტრი (საათები ...) | II სემესტრი (საათები კვირაში) | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | **მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1** | **SPG.1** | | **20** | | | | | | | I | | | |
| | წერა | SPG.1.1 | სავალდ. | **5** | 125 | 45 | 4 | 76 | **3** | | I | | ასმათ შონია | პრეტესტი A 2 დონე |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 125 | 77 | 4 | 48 | **3** | | I | | ასმათ შონია | პრეტესტი A 1 დონე |
| | კითხვა | SPG.1.2 | სავალდ. | **5** | 125 | 60 | 4 | 61 | **4** | | I | | ასმათ შონია | პრეტესტი A 2 დონე |
| | | | | | 125 | 77 | 4 | 48 | **4** | | I | | ასმათ შონია | პრეტესტი A 1 დონე |
| | მოსმენა | SPG.1.3 | სავალდ. | **5** | 125 | 45 | 4 | 76 | **3** | | I | | ასმათ შონია | პრეტესტი A 2 დონე |
| | | | | | 125 | 77 | 4 | 48 | **3** | | I | | ასმათ შონია | პრეტესტი A 1 დონე |
| | ლაპარაკი | SPG.1.4 | სავალდ. | **5** | 125 | 45 | 4 | 76 | **3** | | I | | ასმათ შონია | პრეტესტი A 2 დონე |
| | | | | | 125 | 77 | 4 | 48 | **3** | | I | | ასმათ შონია | პრეტესტი A 1 დონე |
| 2 | **ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1** | **SPG.2** | სავალდ. | **5** | 125 | 61 | 4 | 61 | **4** | | I | | ზელა მოსია | პრეტესტი A 2 დონე |
| | | | | | 125 | 77 | 4 | 48 | **4** | | I | | ზელა მოსია | პრეტესტი A 1 დონე |
| 3 | **ქართული ენის ორთოეპია და მეტყველების კულტურის საკითხები** | **SPG.3** | სავალდ. | **5** | 125 | 45 | 4 | 76 | **3** | | I | | ლუიზა ხაჭაპურიძე | პრეტესტი A 2 დონე |
| | | | | | 125 | 77 | 4 | 48 | **3** | | I | | ლუიზა ხაჭაპურიძე | პრეტესტი A 1 დონე |
| 4 | **მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 2** | **SPG.4** | | **15** | | | | | | | | | | |
| | ფუნქციური წერის ელემენტები | SPG.4.1 | სავალდ. | **5** | 125 | 45 | 4 | 76 | | **3** | | II | რევაზ შეროზია | წერა |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები | SPG.4.2 | სავალდ. | **5** | 125 | 60 | 4 | 61 | | **4** | | II | რევაზ შეროზია | კითხვა |
| | ზეპირმეტყველების სტრატეგიები | SPG.4.3 | სავალდ. | **5** | 125 | 45 | 4 | 76 | | **3** | | II | ბელა მოსია | ლაპარაკი |
| 5 | **ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 2** | SPG.5 | სავალდ. | **5** | 125 | 60 | 4 | 61 | | **4** | | II | ბელა მოსია | ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1 |
| 6 | **ქართული ენის მართლწერა** | SPG.6 | სავალდ. | **5** | 125 | 45 | 4 | 76 | | **3** | | II | ლუიზა ხაჭაპურიძე | წინაპირობის გარეშე |
| 7 | ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა | SPG.7 | **არჩ** | **5** | 125 | 45 | 4 | 76 | | **3** | | II | თეონა ხუფენია | წინაპირობის გარეშე |
| 8 | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით) | SPG.8 | **არჩ** | | | 45 | 4 | 76 | | | | | ასმათ შონია | წინაპირობის გარეშე |
| 8.1 | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით- (ფილოლოგია) | SPG.9 | | | | 45 | 4 | 76 | | | | | ბელა მოსია | პრეტესტი A 2 დონე |
| 8.2 | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(სამართალი) | SPG.10 | | | | 45 | 4 | 76 | | | | | ასმათ შონია | პრეტესტი A 2 დონე |
| 8.3 | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(ისტორია) | SPG.11 | | | | 45 | 4 | 76 | | | | | ასმათ შონია | პრეტესტი A 2 დონე |
| 8.4 | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(განათლება) | SPG.12 | | | | 45 | 4 | 76 | | | | | ასმათ შონია | პრეტესტი A 2 დონე |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.5 | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(ბიზნესი და ეკონომიკა) | SPG.13 | | | | 45 | 4 | 76 | | | | | ლუიზა ხაჭაპურიძე | პრეტესტი A 2 დონე |
| 8.6 | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(ბიოლოგია/ფარმაცია) | SPG.14 | | | | 45 | 4 | 76 | | | | | რევაზ შეროზია | პრეტესტი A 2 დონე |
| | სულ | | | 60 | 1500 | 600 | 48 | 852 | **20** | **20** | | | | |

*სწავლის შედეგების რუკა*

| # | საგანი | კომპეტენციები | | |
|---|---|---|---|---|
| | | ცოდნა და გაცნობიერება | უნარი | ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა |
| 1 | მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1 | | | |
| 1 | წერა | X | X | |
| 2 | კითხვა | X | X | X |
| 3 | მოსმენა | X | X | X |
| 4 | ლაპარაკი | X | X | X |
| 2 | ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები **1, 2** | X | X | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | ქართული ენის ორთოეპია და მეტყველების კულტურის საკითხები | X | X | |
| 1 | ფუნქციური წერის ელემენტები | X | X | |
| 2 | ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები | X | X | X |
| 3 | ზეპირმეტყველების სტრატეგიები | X | X | X |
| 4 | ქართული ენის მართლწერა | X | X | |
| 5 | ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა | X | X | |
| 6 | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით) | X | X | |

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ

| № | |
|---|---|
| | მოდული ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | წერა | ასმათ შონია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | კითხვა | ასმათ შონია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | მოსმენა | ასმათ შონია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ლაპარაკი | ასმათ შონია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | **ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1, 2** | ბელა მოსია | ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი |
| | **ქართული ენის ორთოეპია და მეტყველების კულტურის საკითხები** | ლუიზა ხაჯაპურიძე | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ფუნქციური წერის ელემენტები | რევაზ შეროზია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები | რევაზ შეროზია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ზეპირმეტყველების სტრატეგიები | ბელა მოსია | ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი |
| | **ქართული ენის მართლწერა** | ლუიზა ხაჯაპურიძე | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | **ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა** | თეონა ხუფენია | ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით) | | |
| | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(ფილოლოგია) | ბელა მოსია | ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი |
| | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(სამართალი) | ასმათ შონია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(ისტორია) | ასმათ შონია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(განათლება) | ასმათ შონია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(ბიზნესი და ეკონომიკა) | ლუიზა ხაჭაპურიძე | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| | ქართული ენის სპეცკურსი (სპეციალობის ტერმინოლოგიით-(ბიოლოგია) | რევაზ შეროზია | ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |